საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეკალაურის განძი

ეკალაურის განძი, ძვ. წ. XI ს. ბრინჯაოს ნივთების განძი. აღმოჩნდა 1960 სოფ. ერგეთში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ეკალაურის უბანში, ადგილ ხორჩენაზე. განძში შედის ბრინჯაოს 2 ცული, 4 თოხი, 2 წალდი და წიდა. ბრინჯაოს ერთი ცული დ. ქორიძისეული III სახეობისაა, მეორე – IV ქვესახეობის. ოთხივე თოხი ტრაპეციის ფორმისაა, ფართოპირიანი. ერთი წალდი დაზიანებულია. განძი დაცულია ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ა. რამიშვილი